



# ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



N 48 64  
25/12/2020

64-48-4-202012251455



### ტყიბულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური პროგრამების შესრულების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის „გ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი, მეორე პუნქტისა და „ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 დეკემბრის №48 78 განკარგულების საფუძველზე, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო;

### გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა :

#### მუხლი 1.

ცნობად იქნას მიღებული, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური მომსახურების, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ხელმძღვანელის ნელი ქარელის ინფორმაცია, 2020 წლის მანძილზე ტყიბულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური პროგრამების შესრულების შესახებ, დანართის შესაბამისად.

#### მუხლი 2.

კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალური საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს გრიგოლი ჩიხლაძეს.

#### მუხლი 3.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

#### მუხლი 4.

განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

ნატალია კობახიძე

საკრებულოს თავმჯდომარე  
ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დანართი  
დამტკიცებულია:  
ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
2020 წლის 25 დეკემბრის №48 64 განკარგულებით.

**ინფორმაცია, 2020 წლის ბიუჯეტიდან განსახორციელებელი მუნიციპალური სოციალური  
პროგრამის შესრულების შესახებ  
(მ/წლის 01 იანვრიდან 14 დეკემბრის ჩათვლით)**

„ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2020 პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 დეკემბრის N18 დადგენილებით გათვალისწინებულია შემდეგი სოციალური პროგრამები: სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარება; კომუნალური გადასახადები; ომის მონაწილე ვეტერანთა და მათი ოჯახების დახმარება; ოჯახებისა და ბავშვების დახმარება; სოციალური სერვისები-უფასო სასადილო და სოციალური სამრეცხაო; შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა ფულადი დახმარება და სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსება; ჰემოდიალიზი-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების დაფინანსება; სასკოლო-საკანცელარიო ნივთებით უზრუნველყოფა; 100 და მეტი წლის ხანდაზმულ პირთა დახმარება და შინმოვლა; გარდაცვლილი იძულებით გადაადგილებული პირის და ომის ვეტერანის სარიტუალო მომსახურება; ონკო და ლეიკემიით დაავადებული მოქალაქეების დახმარება; ერთჯერადი სოციალური(ფულადი)დახმარება.

**სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების ქვეპროგრამა** მოიცავს შემდეგ კატეგორიებს: გეგმიური და სტაციონალური ქირურგიული ოპერაციების; სამედიცინო კვლევის; ონკოლოგიურ პაციენტებზე კტ, მრტ და ბიოფსიის და 0-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვების და პენსიონერების გადაუდებელი სტაციონალური მომსახურების თანადაფინანსებას.

ა) ქირურგიული ოპერაციის თანადაფინანსებით ისარგებლა 129 მოქალაქემ, გაიცა 44 511,77 ლარის ადმინისტრაციული დაპირება, საიდანაც შესაბამის კლინიკებში გადარიცხულია 43 164,15 ლარი.

ბ) სამედიცინო კვლევის თანადაფინანსებით ისარგებლა 40-მა მოქალაქემ, გაიცა 9 096,22 ლარის ადმინისტრაციული დაპირება, საიდანაც შესაბამის კლინიკებში გადარიცხულია 8146,22 ლარი.

გ) ონკოლოგიურ პაციენტებზე კტ, მრტ და ბიოფსიის თანადაფინანსებით ისარგებლა 36-მა მოქალაქემ, გაიცა 8 519,47 ლარის ადმინისტრაციული დაპირება, საიდანაც შესაბამის კლინიკებში გადარიცხულია 7 844,47 ლარი.

დ) 0-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვების და პენსიონერების გადაუდებელი სტაციონალური მომსახურებით ისარგებლა 39-მა მოქალაქემ, გადარიცხული თანხა შეადგენს 2 743,1 ლარს.

**კომუნალური გადასახადები** ერიცხებათ 2006 წლიდან შპს „საქნახშირი“-ს შახტში დაღუპულთა და დაშავებულთა (ვისაც მიენიჭათ შშმ პირის სტატუსი) ოჯახებს ექვსი თვის განმავლობაში, თითოეულ თვეში 30 ლარი;

კომუნალური გადასახადით სარგებლობს 34 ოჯახი, თანხა შეადგენს 6 120 ლარი.

ყოველთვიურად მხედველობით პირველი ჯგუფის შშმ პირებს (თითოეულ თვეში 20 ლარი); აღნიშნულით სარგებლობს 34 მოქალაქე, თანხა შეადგენს 7 780 ლარს.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანებს, რომელთა სარეიტინგო ქულა

100 001 ქულამდეა( თვეში 25 ლარი).

ამ ეტაპზე კომუნალური გადასახადებით სარგებლობს 8 ვეტერანი, თანხა შეადგენს 2 225 ლარს.

**ომის მონაწილე ვეტერანთა და მათი ოჯახების დახმარება:**

ა)მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების ყოველთვიური დახმარება 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

მეორე მსოფლიო ომის 2 ვეტერანი სარგებლობს ყოველთვიური დახმარებით, თანხა შეადგენს 1 700 ლარს.

ბ)საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ

და მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილ მეომართა და ძალოვან სტრუქტურებში

დასაქმებულ, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულ პირთა ოჯახების დახმარება აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით 100 (ასი)ლარის ოდენობით;

აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით 18 ოჯახს გაეწია დახმარება, თანხა შეადგენს 1800 ლარს.

გ)ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის აფეთქების გამო ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციაში მონაწილეების დახმარება ჩერნობილის დღესთან დაკავშირებით(26 აპრილი) თითოეულზე 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

ჩერნობილის დღესთან დაკავშირებით 8 მონაწილე, თანხა შეადგენს 1 200 ლარს.

დ)მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებისა და მეორე მსოფლიო ომში დაღუპულის ოჯახის წევრის დახმარება 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით, თითოეულზე 100 (ასი) ლარის ოდენობით;

9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით 3 ვეტერანი, თანხა შეადგენს 300 ლარს და აგრეთვე მათ გადაეცათ ტკბილეულის სასაჩუქრე კალათი.

ე) 1992-1993 წლებში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულ, უგზო-უკვლო დაკარგულ და მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილ მეომართა ოჯახების დახმარება 26 მაისს (საქართველოს დამოუკიდებლობის დღე) დღესასწაულთან დაკავშირებით, თითოეულზე 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;

26 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით 12 ოჯახი, თანხა შეადგენს 6000 ლარს.

ვ) 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების დახმარება – თითოეულზე 500 (ხუთასი) ლარი, აგვისტოს თვეში;

დახმარება გაეწია 2 ოჯახს, თანხა შეადგენს 1000 ლარს.

ზ) შშმ ვეტერანების დახმარება 17 ოქტომბერს ვეტერანის დღესთან დაკავშირებით, თითოეულზე 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

დახმარება გაეწია 12 ვეტერანს, თანხა შეადგენს 1 800 ლარს.

#### **ოჯახებისა და ბავშვების დახმარება:**

მრავალშვილიანი ოჯახები (4 და მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი); მარტოხელა მშობლის ყოველთვიური დახმარება 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. შვილის შექმნის შემთხვევაში ოჯახების ფულადი დახმარება 300 (სამასი) ლარი.

ა) მრავალშვილიანი ოჯახის ყოველთვიურ დახმარებას ამ ეტაპზე იღებს 29 ოჯახი, გადარიცხული თანხა შეადგენს 26 120 ლარს.

ბ) მარტოხელა მშობლის ყოველთვიური დახმარებით სარგებლობს 15 მოქალაქე, გადარიცხული თანხა შეადგენს 9 400 ლარს.

გ) შვილის შექმნის შემთხვევაში 96 ოჯახს გაეწია დახმარება, თანხა შეადგენს 28 800 ლარს.

#### **სოციალური სერვისები-უფასო სასაბიუჯეტო, სოციალური სამრეცხაო**

უფასო სასაბიუჯეტო ყოველწლიურად იცვლება მენიუ, 2015 წლიდან დაემატა სააღდგომო საჩუქარი, ხოლო 2016 წლიდან საახალწლო. მოქმედებს შინ მიტანის სერვისი. ამ ეტაპზე 109 ბენეფიციარია. უფასო სასაბიუჯეტო კვების წლიური თანხა 74 499 ლარით განისაზღვრა, კვებას ახორციელებდა შპს მანიბა. ნოემბრის ჩათვლით ათვისებული აქვს 63 292 ლარი.

აღსანიშნავია, რომ კორონავირუსის გავრცელების გამო ქვეყანაში გამოცხადებული იყო საგანგებო მდგომარეობა, რომლის ფარგლებში 70 წელს გადაცილებულ ბენეფიციარებს პირველი აპრილიდან 28 მაისის ჩათვლით სადილი ბინაზე მიეწოდებოდათ და აღნიშნულ სერვისს ახორციელებდა სამსახური. საშუალოდ 20 ბენეფიციარი იყო უზრუნველყოფილი ყოველდღიურად (კვირის გარდა) სადილით. თხოვნის შემთხვევაში მიგვქონდა მათთვის პენსია და მედიკამენტები. რაც შეეხება სოციალურ სამრეცხაოს, მუშაობს კვირაში სამი დღე და ემსახურება უფასო სასაბიუჯეტო ბენეფიციარებს.

**შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა ფულადი დახმარება და სარეაბილიტაციო კურსის**

**დაფინანსება**

შშმ პირები (0-და 18 წლამდე) ერთჯერადი ფულადი დახმარება -თითოეულზე 200 (ორასი) ლარის ოდენობით;

შშმ პირები (0-დან 18 წლამდე) 20 ბავშვი--თანხა შეადგენს 4 000 ლარს.

ცერებრალური დამბლით დაავადებული (18 წლის ზევით) ერთჯერადი ფულადი დახმარება;

ცერებრალური დამბლა(18 წლის ზევით) 12 მოქალაქე, თანხა შეადგენს 2 400 ლარს.

შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსება არაუმეტეს 1000 (ერთი ათასი) ლარისა.

შშმ პირის სტატუსის მქონე 4-მა მოქალაქე ისარგებლა სარეაბილიტაციო კურსის თანადაფინანსებით, გაცემულია 3 800 ლარი.

**ჰემოდიალიზი- თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა**

თირკმლის უკმარისობით დაავადებულთათვის სატრანსპორტო ხარჯის გამოყოფა პროგრამული დიალიზის ჩასატარებლად, ყოველთვიური დახმარება 120 (ასოცი) ლარის ოდენობით.

ამ ეტაპზე დახმარებით სარგებლობს 19 მოქალაქე, გადარიცხული თანხა შეადგენს 26 530 ლარს.

**სასკოლო-საკანცელარიო ნივთებით უზრუნველყოფა**

ქვეპროგრამით ისარგებლებენ იძულებით გადაადგილებული პირების (რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე)და შახტში დაღუპულთა და დაშავებულთა (ვისაც ტრავმის შედეგად მიენიჭათ შშმ პირის სტატუსი) ოჯახების პირველი-მეექვსე კლასის მოსწავლეები.

აღნიშნული კატეგორიის 30 მოსწავლეს მუნიციპალიტეტისგან გადაეცათ სასკოლო-საკანცელარიო ნივთები.

**100 და მეტი წლის ხანდაზმულ პირთა დახმარებისა და შინმოვლის ქვეპროგრამა**

100 და მეტი წლის ასაკს გადაცილებული ხანდაზმულების დახმარება 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

100 წელს გადაცილებული 2 მოქალაქე, თანხა შეადგენს 1 000 ლარს.

შინმოვლის პროგრამაში ჩართული ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მარტოხელა და მარტო მცხოვრები ხანდაზმულებისთვის თბილი, უსაფრთხო და ღირსეული პირობების შექმნა, მათთვის შინმოვლის სერვისის მიწოდებით-ბენეფიციარების საყოფაცხოვრებო პირობების და ჰიგიენის გაუმჯობესება. შინმოვლის პროგრამის ბენეფიციარები (უფასო სასადილოს ბენეფიციარების გარდა) უზრუნველყოფილი არიან ყოველთვიურად საკვები პროდუქტებით: 1ლ ზეთი, 1 კგ შაქარი, 1კგ ბრინჯი, 1კგ მაკარონი, 1კგ ლობიო, 10 ცალი კვერცხი, 5 კგ კარტოფილი და ქათამი არანაკლებ 1კგ. შინ მოვლის სერვისში ამჟამად ჩართულია 28 ბენეფიციარი. ვიზიტი

ხორციელდება კვირაში ერთჯერ, ამასთან 3 ბენეფიციართან კვირაში ორჯერ. მიუხედავად რთული ეპიდემიოლოგიური ვითარებისა, ჯგუფს არ შეუწყვეტია მუშაობა.

### **გარდაცვლილი იძულებით გადაადგილებული პირის და ომის ვეტერანის სარიტუალო მომსახურების ქვეპროგრამა**

იძულებით გადაადგილებული პირის და ომის ვეტერანის სარიტუალო მომსახურებაზე დახმარება გაიცემა 250 ლარის ოდენობით.

სარიტუალო მომსახურება გაეწია 4 მოქალაქეს, თანხა შეადგენს 1 000 ლარს.

### **მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების ქვეპროგრამა**

სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის პრევენციის მიზნით საცხოვრისით უზრუნველყოფას იმ პირების ოჯახების მიმართ, რომლებიც არიან სიღატაკის რისკის ქვეშ (არ

აქვთ თავშესაფარი).

საცხოვრებლით უზრუნველყოფილი იქნება ოჯახი, რომელიც დააკმაყოფილებს განსაზღვრულ კრიტერიუმებს. თითოეული კრიტერიუმი ფასდება შესაბამისი ქულით.

ბენეფიციარის მოთხოვნა საცხოვრისით დაკმაყოფილდება, თუ მას კომისიის მიერ, შეკრებითობის პრინციპით, მიენიჭება 9 (ცხრა) ქულა.

რაც შეეხება მძიმე საცხოვრებელ პირობებში მცხოვრები მოქალაქეების დახმარებას დახმარება გაეწია 71 მოქალაქეს, თანხით 59 332 ლარი.

### **ონკო და ლეიკემიით დაავადებული მოქალაქეების დახმარების ქვეპროგრამა**

ონკოდაავადებულები, ვისაც ესაჭიროებათ ქიმიოთერაპია, ჰორმონოთერაპია და სხივური თერაპია.

ფულადი დახმარება განისაზღვრება ერთჯერადად 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

ა) ონკოდაავადებული 45 მოქალაქე, თანხა შეადგენს 22 500 ლარს.

ლეიკემიით დაავადებული მოქალაქეები:

ლეიკემიით დაავადებული 2 მოქალაქე, თანხა შეადგენს 1 000 ლარს.

### **ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარება**

ქვეპროგრამით ისარგებლებენ: მოქალაქე, რომელიც ვერ ისარგებლებს მუნიციპალური სოციალური პროგრამის რომელიმე პუნქტით და აქვს კრიზისული მდგომარეობა, ერთჯერადი დახმარების მაქსიმალური ოდენობა 200 (ორასი) ლარი.

ერთჯერადი ფინანსური დახმარებით ისარგებლა 77-მა მოქალაქემ, თანხა შეადგენს 9 000 ლარს.

### **რა სამუშაო გავწიე კორონავირუსის დროს?**

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის მიზნით, საჯარო მოხელეების უფლებამოსილების განხორციელება ხდებოდა დისტანციურ რეჟიმში, ერთი დღეც არ მიმიტოვებია სამსახური. თანამშრომლებთან ერთად

ვახორციელებდი უფასო სასადილოს 70 წელს გადაცილებულ ბენეფიციარებთან სადილის ბინაზე მიტანას, არაერთხელ ვიყავი ჩართული მოხალისედ შინმოვლის სერვისში.

რაც შეეხება მერიის მიერ განხორციელებულ სოციალურ აქციას, რომელიც პანდემიის დროს განხორციელდა, კერძოდ საკვები პროდუქტების დარიგება, მივიღე აქტიური მონაწილეობა. წითელი ჯვრის და მერიის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, მე როგორც მერიის წარმომადგენელმა, მივიღე მონაწილეობა მარკეტებში ყუთების განთავსებაზე, პროდუქტების შეგროვებასა და მოქალაქეებთან მიტანაში.

ამ ეტაპზე ხორციელდება წითელი ჯვრის სოციალური აქცია და 442 მარტოდ მცხოვრებ ხანდაზმულებს გადაეცემათ პირველადი მოხმარების პროდუქტები და ჰიგიენური საშუალებები.

### **ეტლებით უზრუნველყოფა**

საერთაშორისო ასოციაციის "ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" და ჩვენი სამსახურის კოორდინირებული მუშაობით, ჩვენს მუნიციპალიტეტში შშმ პირებისათვის ჩამოვიტანეთ და ბინაზე გადავეცათ **12 ეტლი**. ჩამოტანამდე საკმაოდ შრომატევადი სამუშაოები უძღოდა წინ, კერძოდ, მოქალაქეების მოთხოვნის საფუძველზე მუნიციპალიტეტის მასშტაბით სამსახურმა განხორციელა ოჯახებში ვიზიტი, შეივსო კითხვარი. კითხვარების სწორმა შევსებამ დონორ ორგანიზაციას გაუადვილა თითოეულ შშმ პირზე ზუსტი ზომის ეტლის შერჩევა.

### **ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება**

განყოფილება ამ ეტაპზე შედგება 5 თანამშრომლისგან, დღემდე ვერ მოხერხდა ფიქოლოგის და ჯანდაცვის სპეციალისტის დანიშვნა, რაც გვირთულებს დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად სამოქმედო გეგმის შედგენას.

ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შემდეგ ხორციელდება ბავშვისა და ოჯახის საჭიროებათა და ზიანის რისკის შეფასება სკრინინგის საშუალებით. სოციალური მუშაკის დასკვნის ინტერდისციპლინარული განხილვის საფუძველზე ხდება სამოქმედო გეგმის შედგენა.

ნატალია კობახიძე



საკრებულოს თავმჯდომარე

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულო